№ 187, კვირა, 4 მაისი. 1896—1897 კვირა, 4 მაისი, № 187.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

სათავად-აზნაურო თეატრი
დირექცია გ. ს. მესხისა.
საოპერეტო დასი
დღეს, კვირას, 4 მაისს,
გასტროლი გამოჩენილის მომღერალის ქ-ნის შერისა
წარმოდგენილ იქმნება
ბოშა ბარონი
(Цыганскій баронъ)
3 მოქმედ. ოპერეტი მუს. სტრაუსისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. შერი, პანოვისა, ბ.ბ. რეზუნოვი, ბოგდანოვი, ბრაგინი, სავინი და სხ.
ხვალ, ორშაბათს, 5 მაისს, წარმოდგენილ იქმნება **„მშვენიერი ჰალათეა“**, სამ მოქმედ. ოპერეტი მუს. ზუპპესი.
ადმინისტრატორი ს. ა. გრივენკო. რეჟისორი და ლოტბარი ბ. ვივიენი.

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ
პირველ მაისიდან გაზეთი
წლის დამლევამდე «საქართველოს კალენდრით»
ღირს ხუთი |5| მანათი.

მაქვს პატივი ვაუწყო ქართველ საზოგადოებას, რომ ვისაც ჰსურს შეისწავლოს აბრეშუმეულობისა, შალეულობისა, ნოხ-ხალიჩებისა და სხვა-და-სხვა გვარ მატერიების
ქსოვა ხელოვნურად, ფაბრიკულად,
(მატერიები კეთდება ჩვენებურ აქვე მოწეულ დამზადებულ ძაფებისაგან)
მიჰმართონ ახალს
ამხანაგობას მეაბრეშუმეობისა და მეფეიქრობისას
ქ. ქუთაისში.
ამხანაგობის სახელოსნოში იმყოფება კარგი ოსტატი—ფეიქარი მოსკოვიდან, მისეილ შუსტინ, რომელმაც მოაწყო აბრეშუმეულის ქსოვის საქმე ბათომის სახელოსნო სასწავლებელში.
გამგე ამხანაგობისა არტემ ვახტანგის ძე ანჯაფარიძე.
(10—3)

სავაჭრო სახლი
ს. პ. პავლოვი და კ.
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო
საკერავი მაშინები
ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანათამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს **სამის წლით** თავდებად ვუდგები.
ფასის შემოტანა შეიძლება **ნაწილ-ნაწილად**.
Торговый домъ С. П. Павлова и Ко. (100—48 წ.)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთის დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.
◆ ფასი მასალებისა მეტად იაფია ◆
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ანუ Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—87)

რედაქციისაგან

შეღავათიანი განცხადებანი

„ცნობის ფურცლის“ რედაქცია იმ პირთ, რომელთაც სჭირდებათ განცხადება რაიმე საქმის მოსაპოვებლად, მაგ.: მასწავლებლებს, მოწაფეთ, ექიმებს, ვექილებს, მწერლებს, მთარგმნელებს, წიგნების გამომცემელთ და სხვათა, განცხადებას უბეჭდავს სულ მცირე ფასად: **სტრიქონი პირველ გვერდზე 3 კაპ.** (ორი შაურის მაგიერად) და **უკანასკნელ გვერდზე 2 კაპ.** (შაურის მაგიერად).

კბილის ექიმი
ვ. ი. პიპინაძე
ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21
„ივერიის“ რედაქციის ქვეშ.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. ამათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ჰევრს სხვა-და-სხვა და ოპერაციებისათვის შეიცავს, იგი არ ჰვარგა სასმელად, წვიმის წყალი-კი მოკლებულია ამას. თუ წყალი მრავლად შეიცავს ნივთიერებას, იგი

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.
შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ზ. თოფურია.**
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ა. გერრატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. ა. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
ამკურნალოს დირექტორი **ს. ზ. თოფურია.**
(წ.)

ქნარანი
ქართული გოტიკური
ფასი 5 კაპ.
იყიდება ყველა ქართულ მაღაზიაში.

კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

—

ადმინისტრაცია.

დანიშნულ იქმნენ: ს. ბანძის მცხოვრები მილიციის იუნკერი თავ. აბესალომ ფალავა საკრებო დარაჯთა უფროსად დუშეთის მაზრაში; სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ი. რ. ანდრონიკაშვილი—ბორჩალოს მაზრის მომრიგებელ-შუამავლად.

დამტკიცებულ იქმნა: თელავ-თიანეთის მაზრის მომრიგებელ-შუამავლის თანამდ. აღმასრულებელი თავადი ვეზირიშვილი—ამავე თანამდებობაზე.

ახალი ამბავი

—

⁂ **უმთავრესი საზრუნავი თავად-აზნაურობისა.** მკითხველი მიაქცევს ყურადღებას სრულიად რუსეთის გვირგვინოსანის თვით მპყრობელის აზრს თავად-აზნაურობაზედ, რომელიც გამოთქმულია უმაღლესს რესკრიპტში. მათს იმპერატორებითს უდიდებულესობას ჰსურს, რომ თავად-აზნაურობას არ დაეკარგოს ძველებური შნო და უნარი ტახტისა და მამულის მსახურებისა.

კავშირი ლვაწლი თავად-აზნაურამე ნეხვობლოსადმი დავუიწყამათი წვენი ა მეთაურობდა ერს, წყალს ერევა, მა ლს მტრებთან ად ფუძდება და ბევ შიშ ავადმყოფობას ფარსა და

ხმალს აბრუ გაუტყდა და მეთაურობის ტახტზედ ჭკუა გონება აბრძანდა. მართალია, არა ყოფილა დრო, როდესაც ჭკუა-გონება მეტი ბარგი ყოფილიყოს კაცისათვის, ხოლო ისეთი უპირატესი მნიშვნელობა არაოდეს არა ჰქონია, როგორიც დღეს აქვს.

ამისათვის, თუ ჩვენს თავად-აზნაურობას ჰსურს გაამართლოს თავის თავზედ გვირგვინოსანის მფლობელის იმედები, უეჭველად და უეჭველად საჭიროა მთავარი თვისი ყურადღება მიაქციოს თავიანთის წოდების განათლებას. მხოლოდ ყოველ-მხრივს სწავლას და განათლებას ძალ-უძს შეარჩინოს თავად-აზნაურობას მეთაურის წოდების ხარისხი.

⁂ **დიდის მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის ჩამობრძანება.** გუშინ, საღამოს,—საქართველოს სამხედრო გზით ჩამობრძანდა ტფილისში მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე.

⁂ **მომავალ არჩევნების გამო.** 2 მაისიდამ ქალაქის გამგეობა აღარ ღებულობს სახმოსნო კანდიდატთა სიებს. ამ სიებს გამგეობა გამოაცხადებს 6 მაისს, ხოლო იმ პირთ, რომელთაც ჰსურთ ხმოსნობაზე კენჭი იყარონ, შეუძლიანთ 12 მაისამდე წერილით მიჰმართონ ბ. ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს.

⁂ **თავ. ნაპ. ამატუნის საქმე.** ტფილისის სამოსამართლო პალატა 26 მაისს სააპელაციო საჩივრის გამო—ხელ-ახლად განიხილავს თავ. ამატუნისა და ამირალოვის საქმეს, რომელთაც „ქალაქის საურთიერთო ნდობის ბანკში“ ბოროტ-მოქმედება ჰბრალდებათ. ბრალ-მდებლად იქნება იმავე პალატის ბრალ-მდებლის ამხანაგი ბ. ლემმერმანი.

⁂ **საოპერო წარმოდგენები.** პირველ მაისიდამ ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრში დაიწყო წარმოდგენები რუსულმა საოპერო დასმა.

ჯერ-ჯერობით წარმოადგინეს: 1 მაისს სამ-მოქმედებიანი კომიკური ოპერა „ღატაკი სტუდენტი“ მუს. მილლეკერისა და 3 მაისს 3 მოქმედებიანი კომ. ოპერა „ნატვრის თვალი“ მუს. ოდრანისა.

საზოგადოდ კარგს შთაბეჭდილებას ახდენენ მაყურებლებზე ქ. ქ. კრონებერგი, პანოვისა და ბ. ბ. ბრაგინი, ბოლცანოვი, რეზუნოვი და სავინი. ამათ საკმაოდ სასიამოვნო ხმები აქვთ და თამაშშიაც ხელოვნება ეტყობათ.

⁂ **სახმოსნო კანდიდატთა სიების გამო.** ჩვენს გაზეთში უკვე დასტამბული იყო ორი სია „სახმოსნო კანდიდატთა“, ამ ჟამად ქალაქში ავრცელებენ კიდევ მესამეს ასეთსავე სიას, რომელიც შეუდგენიათ ზოგი-

ბიბლიოთეკა

ერთა სომხურ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა „დცსს". ამ სიაში სულ თხუთმეტი ქართველია მოთავსებული: თავ. დ. ი. ავალიშვილი, თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ა. ი. ბაქრაძე, უგან. თავ. პ. ა. გრუზინსკი, ევ. ონ. იოსელიანი, მიხ. ქაიხ. ყიფიანი, გიორ. მიხ. კოლუბანსკი, დ. ი. ფორაქიშვილი, დ. ზ. სარაჯიშვილი, ი. გ. თულაშვილი, ი. დ. უთნელოვი, გ. ე. წერეთელი, თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი, თავ. ვას. ნ. ჩერქეზიშვილი და თავ. ზ. გ. ერისთავი.

ესეც დიდი წყალობაა!.

⁂ **საქარის საჩქოლეს მოღვაწეობის გამო.** სოფ. საჩხერის (შორაპნის მაზრა) მკვიდრთა მიჰმართეს საქარის საჩქოლეს მმართველს და სთხოვეს გამოუგზავნოს მათ ერთი გამოცდილი კაცი, რომელსაც შეეძლოს და იკისროს სოფლელ მევენახეებს შეასწავლოს ამერიკის ვაზის მოვლა და დამყნვა-დარგვა და აგრეთვე საშუალება აღმოუჩინოს ვაზის ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლისა.

⁂ **ნაპოლეონ III-ს ქვრივის იმპერატრიცა ევგენიას ჩამობრძანება კავკასიაში.** ამ თვეში კავკასიაში ჩამობრძანდება იმპერატრიცა ევგენია, საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ III-ის ქვრივი და ინახულებს პრინცესსა სალომე მიურატს, სამეგრელოის ყოფილის მთავრის ასულს, რომელიც ამ ჟამად სამეგრელოში სცხოვრობს.

⁂ **ინჟენერის ე. ლ. ვედენეევის ქ. პეტერბურგში გამგზავრება.** 7 მაისს ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟენერი ვედენეევი ქ. პეტერბურგში მიდის სამსახურის საქმეებისა გამო.

⁂ **დაბა ლანჩხუთი.** (გურია). **აბრეშუმის საქმე.** წლევანდელი საქმე აქაურ ხალხს დამყარებული აქვს ერთად-ერთ აბრეშუმზე, „გვიკეთდება და გავკეთდებითო". ყველა მეოჯახე, ქალი თუ კაცი, დღეს ამას მოქმედობს და აბრეშუმის ჭიას დასტრიალებს, თითქოს ამაზე იყოს დამყარებული მათი ბედ-იღბალი. თითქმის არც-კი მოიპოვება ისეთი ოჯახი, აბრეშუმის ჭია არ ჰყავდეს სახლში და იმის მოვლაში არ იყოს გართული. მაგრამ, სამწუხაროთ, თესლი ვერ გამოდგა ისეთი, როგორიც წარსულ წლებში იყო. ჯერეთვე თავი იჩინა სისუსტემ და უვარგისობამ. წარსულ წლებში აქ სომხები და ბერძნები არიგებდნენ თესლს და ვინ იცის, რა და რა სისაძაგლეს არ ჩადიოდნენ. წელს-კი მარტო ამხანაგობამ დაარიგა თესლი, მაგრამ იმანაც გვიმტყუნა, ვგონებთ, და ისეთი სასურველი ვერ გამოდგა, როგორსაც მოველოდით. საჭირო იყო, რომ ამხანაგობის მმართველს კარგად გასინჯული თესლი მოეტანა სხვა-და-სხვა ადგილისა, თორემ ამდენი თესლი, ყველა ერთსა და იმავე ადგილას დამზადებული, რასაკვირველია, ყველა კარგი ვერ გამოდგება, რადგანაც ხშირად თვით მომმზადებელი საზოგადოება სტყუვდება ხოლმე, როცა ამდენ თესლს ერთად ამზადებს. მომავალისთვის ამხანაგობა უნდა ეცადოს, თავისი საკუთარი მეთესლე იყოლიოს და თვით ამხანაგობაში დამზადდეს საგანგებო თესლი, რადგანაც სახლში ერთგულად მომზადებული უფრო კარგი იქნება, თუ კარგ მეთესლეს მოვიყვანთ. მართალია, იმდენი თესლის დამზადება არ შეეძლება ამხანაგობას, რომ მთელი გურია გააჯეროს, მაგრამ რამდენსამე ნაწილს მაინც მოამზადებენ და დანარჩენსაც სხვა ადგილებიდგან გამოიწერენ, ვიდრე ამხანაგობა შეიძლებს სრულად იმდენი თესლის მომზადებას, რამდენიც საჭირო იქნება მათთვის.

აგრეთვე საჭიროა, ამხანაგობა ცდილობდეს გაავრცელოს ხალხში ბჟოლის (თუთის ხის) თესვა, თორემ ეხლა მეტის-მეტად ძნელდება საკმარისი ფურცლის შოვნა და ზოგსაც თითქმის იმდენი ჰყავს, ველარ აკმაყოფილებს და შიმშილით უფუჭდება, მერმეთ-კი აბრალებს: თესლი არ ვარგოდაო.

ი. გოგიჩაიშვილი.

⁂ **დ. ახალ-სენაკი. ჩვენებური დავიდარაბა.** ახალ-სენაკლები დიდი ხანია ვგრძნობთ ეკკლესიის სივიწროვეს; ამაზედ წარსულის წლის წინათ აღიძრა ლაპარაკი, რომ ახალი ეკკლესია ავაგოთ უკეთეს ადგილზედო; რასაკვირველია, საზოგადოებამ აირჩია საქმის მოთავე კაცები. ამ არჩეულ პირებმა, აქაურის მაზრის უფროსის შემწეობით, აღმოარჩიეს სა ეკკლესიოთ უპირველესი ადგილი, რომელზედაც საზოგადოებამ სიხარულით ისურვა ეკკლესიის აგება. ამ დროს არჩეულმა მოთავეებმა მოახდინეს განკარგულება და ამ საქმისათვის რამდენიმე ფულიც შეაგროვეს, დაიბარეს ბერძნები გაურიგდნენ და კიდევაც დააწყებინეს შენება. ბერძნებმა ცოტა ხნის განმავლობაში, თითქმის, ააშენეს ნახევრამდი. ამ დროზედ ფული იყო საჭირო ბერძნებისათვის და მასალებისთვინაც, მაგრამ ჩვენს მოთავეებს ერთი კაპეიკიც არ ჰქონიათ მოგროვილი; დიდად სამწუხაროდ და შეუძლებლად მიაჩნდათ ფულების შეგროვება, რადგან აქ საყოველთაოდ ზედ-მეტი სიქსატე იყო ჩამოვარდნილი. ეს სიქსატე მოგვიტანა სიმინდის მცირე ფასში ჩავარდნამ და რადგან მეტი მოძრაობა აქ არაფერი იყო, ამიტომ ეკკლესიის შენებაც შეაჩერეს და უყურებდნენ კეთილის დროს გამობრუნებას. ამ მოლოდინში რომ ვიყავით, აქა-იქ აღიძრა ლაპარაკი. ითქვა: საყანთროს დანგრევა და მეორე ადგილზედ გადატანა. მართლაც, ვნახოთ, რომ ეკკლესიის სისრულეში მოყვანის ფიქრები ყოველივე განიფანტა და დარჩა მხოლოდ საყანთროზედ ლაპარაკი. ამაზედ ხალხი გაიყო ორად; პირველი ნაწილი ამბობდა: ჩვენ უადგილო ადგილზედ ვცნობთ საყანთროს და უნდა გადმოვიტანოთო და ადგილიც აირჩიეს, სადაც ახალი ეკკლესია არის გამოწყებული, იმის დაახლოვებით. მეორე მხარე ამაზედ არ დათანხმდა; ესენი ამბობდნენ: ეს საყანთრო დარჩეს ისევ იმ ადგილზედ, სადაც სდგასო, და ჯერ ეკკლესია მოვასრულოთ და რადგან საჭიროთ მიგვაჩნია საბულვარე ადგილი, ეკკლესიას მახლობლად ბულვარი უკეთესი იქნება, და იქ ბულვარი გავაკეთოთო, მაგრამ ხომ გაგიგონიათ: ძალა აღმართსა ხნავსო; სწორედ ასე დარჩა. იმათ დაარღვიეს საყანთრო და ააგეს აღნიშნულ ადგილზედ. მეორე მხარემ ეს უკანონოდ სცნო და განაჩივრა ბ. ქუთაისის გუბერნატორთან; სთხოვეს, რომ სადაც რიგი და კანონი აღნიშნავდა, იქ დაეარსებიათ საყანთრო და ბულვარიც. ბატონმა გუბერნატორმა ეს საქმე გადმოსცა ადგილობრივს მაზრის უფროს გასარჩევად, მაგრამ საქმეს-კი ჩაილულის წყალი დალია. მომჩივანებმა, რადგან თავიანთ საჩივრიდგან ვერაფერი პასუხი მიიღეს ბ. მაზრის უფროსიდგან, ამიტომ ხელ-ახლა წარუდგინეს გუბერნატორს თხოვნა და საქმეს წარმოებს:

⁂ **ქ. ოზურგეთი. ნოქრების საჩივარი.** არ იქნა და ვერ ვეღირსეთ ნოქრები კვირა უქმე დღეებში დუქნების დაკეტვას და წირვა-ლოცვის მოსმენას. ჩვენ დიდის აღტაცებით მოველოდით თვით-მართველობის დაარსებას, და ყველანი დაიმედებულნი ვიყავით, რომ ქ. ოზურგეთშიაც შემოიღებდენ იმ წესრიგს, როგორიც სხვა ქალაქებში არის. ჩვენდა საუბედუროდ, ვერც თვით-მართველობამ გაამხიარულა ჩვენი დამწუხრებული გული, ჯერ-ჯერობით. სრული იმედი გვაქვს, რომ ბ. ქალაქის მოურავი ყურადღებას მიაქცევს ჩვენს მდგომარეობას.

ოზურ. ნოქარი.

⁂ **სტეფანწმინდა. მაგნე შირეგბა.** არ იქნა, ჩვენს სოფელში ბოლო ვერ მოეღო სოფლის წურბელაებს! ხშირ-ხშირად სოფელი ყრილობას ახდენს, ბევრჯერაც ამოურჩევიათ ოროლ-სამ-სამი კაცი სოფლის მზრუნველად, მაგრამ საჩქაროდვე ავიწყდებათ თავიანთი თანამდებობა და გადაიქცევიან ხოლმე მხოლოდ თავისის ჯიბის მზრუნველად. წარსულს წელს ჩვენს სოფელს მოეპოვებოდა 400 მანათზე მომეტებული ფული, აქედან შესაძლებელია დაიხარჯა რამდენიმე თუმანი (ზოგი უსაფუძვლოდაც), დანარჩენი კი, რასაკვირველია, დარჩა ისევ იმ პატიოსან მზრუნველებთან, ვიდრე სოფელს დასჭირდებოდა. ეხლა დღე ერთია და გზირის სიარული თავს გვაბეზრებს ზოგიერთა წვრილმან გარდასახადებზედა. აი ესეც სოფლის გაჭირვების ის დრო, როდესაც ის მიბარებული ფული უნდა მოეხმაროს და აცილოს საცოდავ ღარიბ მოხევეთ წეწვა-რბე
ამ ზემოხსენებულ საგანზე თუ
ყრილობა ორჯერ იყო, მაგრამ ა
მოჩნდა, რომ ის მიბარებული სას
ფლო ფული მზრუნველებს დაუხა
ჯიათ საკუთარ საქმეზე და ეხლა
თმანერთზედ უთითებენ სოფელ
ჯერ სხვებს გამოართვით და შემდ
ჩვენ მოგცემთო. ამასობაში აღარ
გამომრთმევი და საქმის გამსწორე
ვინმეა ჩვენთვის, და გადასახადები
აუცილებელია უნდა გადვიხადო
გავყიდოთ უკანასკნელი ძერი,
თივა და გავუსწორდეთ მოვალესა

კარგი იქნებოდა, ჩვენი სოფელ
ამას შემდეგ ასე თავ ხედად არ მ
იქცეოდეს და ამ ნაირად სოფლ
წურბელების მაგივრად აქვე ყაზბეგ
ფოსტას გარდასცემდნენ (თუნდ სა
გებელს ნუ ვიტყვით, მოთხოვნაზე
ვე დაუბრკოლებლად მაინც მიიღებ
და ამ სოფელში მზრუნველებთ
თუ სხვასთან შენახული ფულის მ
კრეფაში ადგილობრივნი მოხელე
დახმარებოდნენ სოფელს და თუ ა
ნება-ყოფლობით, პოლიციური წ
სით გადაეხდევინებინათ, ვისაც თვი
სოფლის ყრილობა უჩვენებდა.

ი. ღუდუშაური.

⁂ **სიღნაღი. საბაზრო მოედნი საჭიროება.** ქ. სიღნაღში ყოველ
დღე ახლო-მახლო სოფლებიდამ ჩ
მოაქვთ დილით ადრე სხვა-და-სხ
სანოვაგე გასასყიდად, მაგრამ სოფ
ლელებს არა აქვთ დანიშნული ად
გი სავაჭროდ. ამის გამო ისინი იძუ
ლებულნი არიან დილით, დუქნებ
გაღებამდე, თვით დუქნების კარებ
წინ დააწყონ გასასყიდი სანოვაგ
მაგრამ, როგორც-კი დუქნების პა
რონები მოვლენ თავის ვაჭრობ
დასაწყებად — საბრალო სოფლელე
აებარგებიან და უგზო-უკვლოდ ლ
ეხეტებიან; ასეთს მდგომარეობა
ჩავარდნილი გლეხი ძალა-უნებურ
თავისს საქონელს მესამედ ფას
ჰყიდის, რომ მალე განთავისუფლდ
და სახლში წავიდეს.

ცუდი არ იქნებოდა, რომ სიღნ
ღის ქალაქის თვით-მმართველო
ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევდ
ამ გარემოებას, თუ არ დაივიწყებ
რომ ქალაქის მკვიდრთა ინტერესებ
დაცვა უნდა ჰქონდეს საგნად;
მალე არ დანიშნეს „საბაზრო მ

საოჯახო ჰიგიენა.

სხვა-და-სხვა სასმელების ხმარება და მათი მნიშვნელობა. ყავა და ჩაი. ლუდი. ღვინო და მისი მკურნებელი თვისება. არაყი და მისი ცუდი შედეგი. წყალი, მისი სისუფთავე. უსუფთაო წყალი და მისით ავადმყოფობის გავრცელება. ყინულის ხმარება.

სხვა-და-სხვა სასმელების გავრცელება მთელს დედა-მიწის ზურგზედ აშკარად გვიჩვენებს მათს სარგებლობასა და საჭიროებასაც კაცისათვის: ყავა, ჩაი, ლუდი, ღვინო, არაყი დიდათ არის ხალხში გავრცელებული, მიუხედავად იმისა, რომ საზრდოობაში მაგრე დიდი ადგილი არ უჭირავთ და ძვირად-კი ფასობენ. ყველა ეს სასმელები აფხიზლებენ და ამაგრებენ კაცის სხეულს და არამც თუ ჯანმრთელობასა ჰშველიან, არამედ შრომა-მოქმედებისადმი სურვილს უღვიძებენ.

ყველამ იცის, რომ კაცი ხანგრძლივის შრომა-მუშაობის გამო, შიმშილის გარდა, დაღალვა-დაქანცვასაც ჰგრძნობს და მუშაობის გაგრძელება არ უნდა. და თუ ამ დაღალვას მაინც არ გაუტყდა და განაგრძო მუშაობა, ბოლოს იქნობამდის მივა, რომ სრულიად აღარ შეეძლება შრომა და ძალა-უნებურად თავი უნდა ანებოს მას. ზემოხსენებულს სასმელებს ძალუძთ არამც თუ გაუქრონ სიმშილის სურვილი, არამედ დაღალვაც-კი არ აგრძნობინონ. ამითი ისინი დიდს საშუალებას გვაძლევენ, განვაგრძოთ მუშაობა იქამდის, სადამდისაც უიმისოდ სრულიად არ შეგვიძლიან. ამ სასმელებთან ერთად, რასაკვირველია, საჭირო საჭმელიც უნდა ვიხმაროთ. ვისაც-კი შეძლება ნებას აძლევს, ერთი ჭიქა ყავა ან ღვინო ყოველ დაღალვისა და ქანცმიწყდომის დროს საშუალებას მისცემს ფხიზლად და შეუფერხებლად განაგრძოს შრომა; ამ შემთხვევაში არაყს მუშა კაცისათვის დიდი ვნება
მოაქვს, რადგან მხოლოდ უ
გრძნობას უკლავს და მე

ყავა და ჩაი კარგა
ზე. მათი ამორჩ
თუმცა-კი ზო

გაცილებით სჯობიან ყავას (რადგანაც მასში ურევია ბლომად რკინეული). ორთავ სასმელი აღუძრავენ ნერვებს, აფხიზლებენ კაცის გონება-აზროვნებას და დაღალვას არ აგრძნობინებენ და ცოტა საჭმელსაც საჭიროებს კაცი მათი ხმარების დროს. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ ზოგიერთს ქვეყნებში ხალხი მარტო კარტოფილითა და ჩაითი სცხოვრობს და ხანგრძლივს მუშაობასაც იტანს. ასეთი გავლენა აქვს კაცზედ ზომიერს ხმარებას ჩაისა და ყავისას, ხოლო თუ უზომოდ იხმარა კაცმა, სარგებლობის მაგიერ, ვნებას მოიტანს, კუჭს გაუძნელებს მუშაობას და ნერვებსაც დაასუსტებს. უმთავრესად გადაჭარბებულს ხმარებას სუსტები უნდა ერიდონ, რადგანაც უძილობა ძალიან ხშირი სტუმარია ამგვარ გადაჭარბებისა. ზოგი-

სასმელს კუჭი ძნელად ინელებს. *)

ლუდი. ლუდი ამ ბოლო ხანებში საზოგადოდ ყველგან ძალიან გავრცელდა და ყველას ყურადღება მოიპოვა. იგი პირველად ნემცებმა მოიგონეს და მათს საყვარელს სასმელს შეადგენს დღესაც. ლუდი ბევრს მასაზრდოებელს ნივთიერებას შეიცავს, სხვა სასმელებთან შედარებით, და ამიტომ სუსტთათვის მისი ზომიერი ხმარება მეტად მარგებელია, რადგანაც ძალას აძლევს და ამაგრებს კაცს. ლუდი ამ მხრივ მეტად უახლოვდება კარგად გაკეთებულს ბულიონს და მასავით აფხიზლებს კაცის გონებასა, ნერვებსა და მადას უღვიძებს. რასაკვირველია, ეს არ შეიძლება ითქვას იმ ლუდზედ, რომელსაც ჩვენში ოსები ამზადებენ, რადგანაც იგი მეტად უსუფთაოდ და უგემურად არის მომზადებული. უბედურობა მხოლოდ იმაშია, რომ საზოგადოდ ლუდს ბევრსა სვამენ ხოლმე, ამიტომ ხშირად სარგებლობის მაგიერ ვნების მეტი არა მოაქ
რა, და საშინლად აყენებს კუჭ
მუშაობას.

ღვინო. ღვინის ხმარება-მოყვა
ისეთივე ძველია, როგორც კაცო
რიობის დასაწყისი. ღვინის სამშო
ლოდ კავკასია, ე. ი. ჩვენი სამშო
ლო ითვლება. აქ აღმოცენდა, თუ
მე, პირველი ვაზი და მთელს ქვეყ
ნაზედ გავრცელდა. *) ძველადვე ყვე
ლგან, სადაც კი ჰავა ხელს უწყო
და მის მოყვანას, ხალხი აშენებ
და ამზადებდა მისგან იმ დამატკბ
ბელს სასმელს, რომელსაც ღმერთ
ბის მონაცემად სთვლიდნენ.

„ღვინო ამხიარულებს გულს ჩვენსა", ამბობს წინასწარმეტყველ
დავით. მართლაც, არც ერთი სას
მელი ისე არ ამხიარულებს და აღე
ლვებს კაცს, როგორც ღვინო. აშ
კარაა, რომ ასეთი მოქმედება ღვი
ნისა იმ შხამს კი არ უნდა მიეწე
როს, რომელიც მასშია და რომელ
საც ალკოჰოლს ეძახიან, რადგანა

97 г.

ბისა, 11 საათიდა!, აქვს ჩაისა და ყა-

სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიც. ქ.

Наука о жизни. Лункевича.

*) „Исторія культуры". Липерта.

დანი"—სოფლელები იძულებულნი იქმნებიან აღარ შემოიტანონ ქალაქში სანოვაგე გასასყიდად და ეს მათთვისაც საზარალო იქმნება და არც ქალაქის მკვიდრთათვის იქმნება სახეირო, რადგან ყველას ესიამოვნება, იაფად კარგი სანოვაგე იშოვოს..

⁂ ს. ბოდბისხევი. (სიღნაღის მაზრა) **ბიბლიოთეკის დაარსების გამო.** აქაურმა ახალგაზდობამ გადასწყვიტა, გახსნას სამკითხველო ს. ბოდბისხევში. რადგანაც ამ საქმის გაძღოლას პირველ შემთხვევაში უფრო ბევრი ხარჯი სჭირდება, ამისთვის მივმართავთ ყველას, ვისაც-კი გული შესტკივა ბეჩავი ხალხის კეთილდღეობისთვის, მოგვაწოდოს თავიანთი წვლილი ფულად ანუ წიგნებიდ ამ საქმის კეთილად დასაგვირგვინებლად. შემოწირულება მიიღება: ავჭალის ქუჩაზე, ქართულ იაფ სამკითხველოში და ქ. სიღნაღში დიმიტრი ნადირაძის სახელობაზე. შემოწირულება თავის დროზე გამოცხადებულ იქნება გაზეთში.

ვსთხოვთ „ივერიის» რედაქციას, გადაბეჭდოს ეს ჩვენი განცხადება.

⁂ ძ. სიღნაღი. **აქაური ვექილები.** „უპატრონო ეკკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიანო", ამბობს ქართული ანდაზა და სწორედ ჩვენს ქალაქს სიღნაღსა და მის მაზრასაც ესევე დაემართა ვექილების შესახებ. წარსული წელი მარტო მოსავლისათვის არ იყო ცუდი, არამედ ვექილებისათვისაც ცუდი წელი იყო. ორი ვექილი დაუნდობელმა და შეუბრალებელმა სიკვდილმა მოაშორა ქ. სიღნაღს; მესამე მინაურის საქმეებისა გამო გაექცა სიღნაღს და მეოთხე-კი თუმცა აქვე დარჩა, მაგრამ ვაი იმ დარჩენას, ხალხი სულ შემოუფრთხა, თუმცა არც-კი წინად სწყალობდნენ მას. ამ გარემოებით ისარგებლეს ეგრედ წოდებულმან „აბლაკატებმა" ნოქარ-ფინაჩებმა და წვრილმა მოხელეებმა. ერთი სიტყვით, აქ თითქმის ყველა ნოქარი, უწინდელი, ეხლა „აბლაკატი" და მოარზე არის. უმთავრესი „აბლაკატობა"-კი, როგორც მოსალოდნელი იყო, უმთავრესმა ნოქარმა დაიჭირა, რომელსაც თავისი საკუთარი „კანტორა" აქვს, ამ ვაჟბატონს, სადღაც, ბაზარში, რაღაც სამი ძველი „ზაკონების" წიგნი მოუპოვებია და ვისაც შეიტყუებს, (თორემ ან-კი რა შეტყუება უნდა, როდესაც რამდენიმე იმისი „აგენტი" ქუჩა-ქუჩა დაძვრებიან და გამვლელს და გამომვლელს ძალად აქეთ მოერეკებიან ძახილით: „აქ მობრძანდით, აქ კარგი ახალი ადვოკატი მოვიდა, ის კარგად დაგიწერთ არზას, მისი დაწერილი არზა ქვას გახეთქავსო", ეუბნება): აბა რას იტყვი, რომელი წიგნიდგან გინდა დაგიწეროო, თუ ამ დიდი წიგნიდგან გინდა, მაშინ 5 მან. უნდა მომცე, ეს ეღირება, თუ შუათანადგან—3 მ. და თუ სულ პატარიდან—1 მანათიო. უგუნური გლეხი პირ-დაღებული შესჭყურებს და არ იცის რა ჰქნას. ბოლოს წაილუღლუღებს და ეტყვის: „კნიაზო, სხვები ორ აბაზათ უწერენ, ღვთის გულისათვის, მეტი არა მაქვს, გეთაყვა, ორ აბაზს მოგართმევ და კაი არზაკი დამიწერე, რომ სულ თითონ ილაპარაკოსო. არა, ბიძია, მე ის არ გახლავარ, ვინც ორ აბაზათ და სამ აბაზათ არზებს სწერენ, ისინი რომ სწერენ, ჯერ ერთი იმათი დაწერილი არზა არა სჭრის და მეორეც, ისინი „უზაკონოთ" სწერენ და მე-კი, ხომ ჰხედავ, „ზაკონებიდან" უნდა დაგიწეროო და მთლად მთელი კანონები შიგ უნდა ჩავყაროო. კარგი, თუ მეტი არა გაქვს, მაშ ამ პატარა წიგნიდან დაგიწერ და ერთ მანათსა და ორ გროშს გამოგართმევო. კნიაზო, ეს ორი გროში რაღა [illegible],—ჰკითხავს განცვიფრებული მომჩივარი.—რაღა და ისა, რომ მანათი არზა ჰღირს და ორი გროში ქაღალდიო. კნიაზო, თუ შეიძლებოდეს, შენის შვილების სადღეგრძელოთ, შუათანა წიგნიდან მაინც დამიწერეო. კარგი, მომშორდი, ეუბნება გაჯავრებით აბლაკატი; მაგდენი სადა მცალიან, ხომ ხედავ რამდენი ხალხი მელოდებაო. კარგი, კნიაზ, ნუ მიწყენთ, არც-კი ვიცი როგორ მოგახსენოთ, 3 მან. მოგართმევთ, მხოლოდ ჩემს მაგიერ თქვენ ილაპარაკეთო. მომშორდი კარგი, არც 300 მან. ვიკადრებ ლაპარაკსაო. ცოტა ყოყმანის შემდეგ, იძულებული ხდება მომჩივარი გახსნას თავისი ჯიბის ბოხჩა და გამონახოს ნაკუწ-ნაკუწ გამოხვეული ფული და მისცეს „აბლაკატს». თანაც კიდევ დაუმატებს: შენი ცოლშვილის სიცოცხლეს, კარგი არზა მაინც დამიწერე. კარგი, კარგი, ბევრს ნულა ლაპარაკობ-მეთქი, კარგს დაგიწერ, მაშ. მაგრამ ნახე უბედურება! სამ მანათიანს არზას მომრიგებელი მოსამართლე უკანვე უბრუნებს, კარგად არ არის დაწერილი და რასაც სჩივი ცხადათ არ არის აღნიშნულიო. მოიტანს ამ არზას ისევ უკან „აბლაკატთან და ეუბნება: კნიაზო, შედალოცვილო, აკი გეხვეწე კარგი დამიწერე-მეთქი, აბა რა არის უკანვე დამიბრუნა სუდიამ—არ ვარგაო. როგორ თუ არ ვარგაო? ჰო, ვიცი რის მიზეზითაც, აკი გითხარ გაჯავრებულია-მეთქი ჩემზედ. აბა რა გითხრა, როგორ დააწერინეო? მითხრა: აი ესა და ეს უნდა დააწერინოვო, შენ-კი სულ სხვა დაგიწერიაო. კარგი, აჰა მაგრე დაგიწერ, წაიღე და მიართვი, მხოლოდ მე იმას ვაჩვენებ, როგორ უნდა არზის ტყუილად დაწუნება. ასე ამ რიგად ატყუებენ საკოდავებს, მაგრამ ეს კიდევ კარგი, თუ ეს დიდი ნიჭიერი—აბლაკატი შეხვდათ, რომელმაც ცოტათი მაინც შეისწავლა კანონები სიღნაღის სამაზრო საპატიმროში, სადაც კარგა ხანი ბრძანდებოდა, მეორეთ მაინც გაუსწორებს არზას, თანახმად სუდიის ან სხვა მოსამართლის დარიგებისა; საქმე ის არის, რომ თუ სხვებმა ჩაიგდეს ხელში და დაუწერეს, ფულს აიღებენ თუარა, სადღაც გაჰქრებიან და იმათი პოვნა არა რომელსამე უბრალო მომაკვდავს არა ძალუძს.

ესე ამ რიგად, უბრალო განცხადება, რომელიც ღირს არა უმეტეს 30—60 კაპ. უჯდებათ 1,50 კ. 3 მანათამდინ, და მომეტებულ ნაწილად-კი თვით მომჩივანსვე ამტყუვნებს თავისივე არზა. თუ ირზა 3 მანეთამდინ უჯდებათ, აპელაცია და კასაცია ხომ 20 და 25 მანათამდინ ადის ხოლმე და ნეტავი საჩივარს მაინც ჰგვანდეს ამათი ნაჯლაბნი და ან გასაგების რუსულის ენით მაინც იყოს ხოლმე დაწერილი!. ეს, რასაკვირველი, ჩვენის ხალხის ბრალიც არის, რომ ამდენ ხანს ვერ შეიგნეს და უცვივიან თავიანთ მცარცვავთ თავისთავათვე, მაგრამ ამასთანავე არ შეგვიძლიან გულმტკივნულათ არ აღვიაროთ, რომ პატივცემულნი ჩვენი მომრიგებელ მოსამართლენი, რომელთა პატიოსნებას და უანგარობას ვერ შევეხებით, თუ მოიწადინებენ ადვილათ დაიხსნიან ამ აბლაკატების ხელიდგან იმითი, რომ, როგორც კანონიც მოვალეთ ჰხდით, მათ თვით ჩაუწერონ ხოლმე საჩივარი მომჩივარს, ან თუნდაც ურჩევდნენ ხოლმე ვის მიჰმართონ და დააწერინონ.

უკუღმართელი.

⁂ ძ. სიღნაღი. **აქაური ახალი ამბები.** ამ დღეებში აქ ორი უბედურება მოხდა: 1) ხანგრძლივის ავდრებისა გამო, ციხის უბანში დ—ს სახლი დაიქცა, თუმცა არავინ არ უმსხვერპლია. 2) ამირხანოვის ვენახში ნუკრიანელმა ისაკო სანდომისაშვილმა უცაბედათ თავი მოიკლა თოფით, როგორც ამბობენ, გარდაცვალებული ძერას გამოჰკიდებია თოფით, მაგრამ თოფი არ გავარდნილა სროლის დროს; გაჯავრებულს თოფი დაუბრუნებია და შიგ ლულაში ჩაუხედნია, სწორედ აი ამ დროს ჩახმახი რილაცისათვის გამოუდვია და გავარდნილა თოფი. თოფი სანდომისაშვილს შიგ შუბლში მოხვედრი და მთლათ თავის ქალა აუგლეჯნია უბედურს, სული მაშინათვე დაულევია.

— ტაროსი შეიცვალა. 26 აპრილს წვიმა გადიღო და მას აქეთ კარგი მზიანი დღეებია, თუმცა მთლათ მოწმენდილი არ არის ხოლმე ცა.

სასამართლოს მატიანე.

მევახშეობა.

2 მაისს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა ეკატერინე ნონიკოვისა და იოსებ მურადოვის საქმე, რომელთაც მევახშეობა დაბრალდათ. სასამართლომ გამოიძია-რა ეს საქმე აღმოჩნდა, რომ ხსენებულნი პირნი სარგებლობდნენ ნივთიერად გაჭირებულების მდგომარეობითა და უღვთო სარგებელსა და ზედ-მეტს (неустойка) ახდევინებდნენ მათ.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო ორივე ბრალდებული, ყოველივე ღირსება ახადა და ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა: მურადოვს—10 თვით და 20 დღით, ხოლო ნონიკოვისას—5 თვისა და ათი დღის ვადით. დამნაშავენი იქვე დააპატიმრეს, თავდების წარმოდგენამდე. მურადოვს 300 მანათის თავდები მოსთხოვეს, ხოლო ნონიკოვისას—200 მანათისა.

წერილი რედაქციის მიმართ.

ჩვენ, უცხოობასა შინა მყოფნი და ჩვენს სამშობლო მხარეს დაშორებულნი, დიდს შეწუხებაში ვართ, რომ იშვიათად მოაღწევს ხოლმე ჩვენამდე ჩვენის ქვეყნის ამბავი და თუ მოაღწევს, ისიც მაშინ, როცა მანდ უკვე დაძველებულია.

აი ეხლაც, არ არის დიდი ხანი, რაც ჩვენმა ნორჩმა „ცნობის ფურცელმა" გვამცნო, რომ მოახლებულ არს დრო და ჟამი ჩვენის სასიქადულო პოეტის ილიას იუბილეისა. რასაკვირველია, ამ ჩვენთვის დიდებულს დღეს ყოველი ქართველი, როგორც მაღალი წოდებისანი, ისე საშუალონი, მდიდარნი თუ ღარიბნი, ქალი თუ კაცი, დიდი და პატარა, განურჩევლად წოდებისა და ხნოვანობისა, აღტაცებულის სიხარულით მიეგებება და ყველანი ერთნაირათ ვიდღესასწაულებთ და ვიმხიარულებთ ამ ჩვენთვის ბედნიერ დღესა. არამც თუ მარტო ქართველნი, არამედ უცხო გვარ-ტომნიც, თუ ცოტაც არის გრძნობა და სიყვარული აქვთ ლიტერატურისა, ღირსეულად მიეგებებიან ამ დღეს.

რომელი ერთი დავასახელოთ და დავაფასოთ ჩვენის პოეტის ილიას ნაწარმოები! ყოველივე მისი თხზულებები,—ლექსები თუ პროზები,—ყველანი ხელის-ხელ საგოგმანები არიან და იქნებიან შვილის-შვილამდე.

აქ არ შეგვიძლიან არ მოვიგონოთ

მაშინ ესევე უნდა გვეთქვა თვით არაყზედაც. მარტო ის დიდი ფასები, რომელიც ღვინოზედ მიდის, აშკარად გვიჩვენებს, რომ მასში ძვირფასი ნივთიერებაც ურევია. ამიტომ ღვინო ავადმყოფობის სარჩენლადაც ბევრჯერ იხმარება, უმთავრესად იქ, სადაც საჭიროა ძალ-ღონის აღდგენა. ამიტომ სისხლის დაკარგვის ან დიდი ავადმყოფობის შემდეგ უსათუოდ ღვინოს აძლევენ ავადმყოფთ და მათს მაგიერობას სხვა ვერა წამალი ვერ შესძლებს. სისხლნაკლულებისათვის, სისუსტისათვის ძალიან მარგებელია ზომიერი ხმარე[illegible] ღვინისა. ძველად მას ზეთთან ერ[illegible] ურევდნენ და ჰრილობის წამ[illegible]ც ჰხმარობდნენ. კეპლერი, [illegible]ანიშნავი მეცნიერი, თავისს უკვ[illegible]ვის თხზულების „ზეცის კანონე[illegible]" წერის დროს ცარიელა ღვინოს [illegible]ლში გარეულსა და პურსა ჰხმა[illegible]და.

[illegible]ვი არ უნდა, ღვინის უზომოდ ხ[illegible]ბა ძალიან მავნებელია, თუმცაის[illegible] არა, როგორც სხვა სასმელების [illegible]უმცა-კი ზოგიერთნი, რომელნ[illegible] არ-ჰყოფენ მაგარის სასმელების ხმარებას, ღვინოზედაც ამასვე იმეორებენ და ამბობენ: საჭიროა კაცმა სრულიად არ იხმაროს იგი, უმთავრესად სისხლ-მეტებმაო. სოკრატი სრულიად არა ჰსვამდა არც ღვინოს და არც სხვა სასმელს და მუდამ კმაყოფილი იყო მარტო წყალით. დოქ. ფორელი სრულიად უარ ჰყოფს როგორც ყველა მაგარ სასმელების ხმარებას, ეგრეთვე ღვინისასაც, რაც, რასაკვირველია, მართალი არ არის და ეს მხოლოდ უზომოდ ხმარებაზე უნდა ითქვას.

შეიძლება ბავშვებს მივცეთ ღვინო?—ეკითხებიან ხოლმე მშობლები ექიმებს. აქ უნდა ვსთქვათ, რომ ჯანმრთელი და მაგარი ბავშვები სრულიად არ საჭიროებენ მას და არც აწყენთ ცოტაოდენი ღვინო; სუსტი ბავშვებისთვის-კი, რომელთაც სუსტს აგებულებაში ცოტა სისხლი აქვთ, ღვინო ძალიან სასარგებლო არის მათთვის. იგი უმაგრებს სხეულს და ძალას აძლევს.

არაყი. სასმელთაა შორის ყველაზე მავნებლად არაყი ითვლება, რადგანაც მასში ბლომად ურევია ეგრედ წოდებული ალკოჰოლი—შხამი; მას თანა სდევს ხშირად უზომოდ ხმარება—ლოთობა, მიზეზი მრავალ უბედურობისა კაცთა შორის. სიღატაკე, გარყვნილობა აუცილებელი შედეგია ამ საზარის სენისა; ამისავე შედეგად უნდა ჩავთვალოთ ჭკუაზე-შეშლილობა, უტვინობა და სიტუტუცე. მაგრამ ზომიერად ხმარებას-კი სარგებლობა მოაქვს, უმთავრესად ღარიბ მომუშავეთათვის. სიცივის დროს იგი აძლიერებს კაცის სხეულში სითბოს და ამასთან ცოტა საჭმელსაც საჭიროებს არაყის მსმელი კაცი. მათთვის-კი, ვინც გონებით მუშაობს, ძალიან მავნებელია, რადგანაც სისხლს აწოლებს თვალებში და თავს ატკივებს.

წყალი. უწყლოთ სიცოცხლე არ შეიძლება. კაცს უწყლოდ უფრო მცირე ხანს შეუძლიან გასძლოს, ვინემ უსაჭმლოდ. წყალზედ ბევრით არის დამოკიდებული კაცის ჯანმრთელობა. წვიმის წყალი თუმცა წმიდაა, მაგრამ დასალევად სრულიად არ ვარგა, თუ წყალი ბევრს სხვა-და-სხვა ნივთიერებას არ შეიცავს, იგი არ ვარგა სასმელად, წვიმის წყალი-კი მოკლებულია ამას. თუ წყალი მრავლად შეიცავს ნივთიერებას, იგი მკურნებელი ხდება, რომლითაც ბევრი ავადმყოფობის მორჩენა შეიძლება. წყალი კირსაც შეიცავს, მაგრამ, თუ ბევრია იგი წყალში, არ ვარგა არც სარეცხისათვის და არც საჭმელისათვის. წყალში, ამას გარდა, ცოტაოდენი ჰაერიც არის და მხოლოდ ამითი აიხსნება, რომ მასში სხვა-და-სხვა ცხოველები სცხოვრობენ. იქ, სადაც წყაროს დასაწყისია, იშვიათად შეგხვდებათ თევზი, რადგანაც საჭიროა წყალი დიდხანს ეხებოდეს ჰაერს, რომ ცხოველთათვის საჭირო ჰაერი შეიცვას. სასმელად და საჭმელისათვის ჭებისა და მდინარის წყალსა ვხმარობთ. კარგი წყალი უფეროული უნდა იყოს, სუნი რამე არ უნდა ადიოდეს, სასიამოვნო სასმელი და ცივი. წყალი სხვა ბევრ ნივთიერებასაც შეიცავს, რაც სიმღვრიეს და უსუფთაობას აძლევს. უფრო ცუდია, თუ წყალში რამე კაცის განავალი ურევია, იგი, რაც გინდა ცოტა ერიოს, მაინც შხამივით მოქმედებს კაცზედ. თუ ჭის ან წყაროს ახლოს რამე ნეხვი ან ფეხის ადგილია და მათი წვენი ნიადაგში ჟვანავს, ჭის წყალს ერევა, მაშინ წყალი სრულიად ფუჭდება და ბევრ საზარ და საშიშ ავადმყოფობას ავრცელებს. ამისთანა წყალს ბაქტერიებიც უჩნდება და ბევრნი ერთსა და იმავე დროს ჰხდებიან ავად. ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ ორი გადამდები სენი, საოფლე და ხოლერა, სწორედ ამ გზითა ვრცელდება. ამისათვის აუცილებლივ საჭიროა წყარო თუ ჭა—ძალიან მოშორებული იყოს ამგვარს ადგილებზე.

გაყინული წყალი ხშირად ბევრს უსუფთაობას შეიცავს და ბაქტერიებით სავსეა. ამგვარი ყინული რომ წყალში და ღვინოში ვიხმაროთ, შეიძლება ხშირად ავადაც გავხდეთ. ამგვარი უსუფთაო ყინული არა ერთხელ ყოფილა მიზეზი საოფლით ავად გახდომისა. ამიტომ თითონ წყალში ან ღვინოში-კი არ უნდა ჩასდოთ ყინული, არამედ ჭურჭელი უნდა ჩასდგათ მასში და ამ გვარად გააციოთ სასმელი. პირდაპირ ხმარება-კი ყინულისა ან მისი ღვინოში გარევა მავნებელია, როგორც კბილებისათვის, აგრეთვე კუჭისათვისაც.

ჭამის დროს ცივი წყლის სმა მავნებელია, რადგანაც აყენებს კუჭის მოქმედებას, ამისათვის საჭიროა თბილი ან მოხარშული წყლის ხმარება. საზოგადოდ-კი ნახევარ საათის შემდეგ უნდა იხმაროთ წყალი.

შ. ფრონელი.

შიში ბ-ნის შ.ვი-ზღვის პირელისა: ის შიშობს, ვაი თუ აქაც პარტიობამ იჩინოს თავი და ისე სასურველად ვერ ჩაიაროს ამ ჩვენთვის დიდებულმა დღემ, როგორც მოსალოდნელიაო; უნდა ჩვენც გამოვუტყდეთ ბ.ნ შავი ზღვის პირელს, რომ ამ ფიქრმა ჩვენც ელვასავით გაგვირბინა თავში, მაგრამ დიდხანს არ ვასადგურეთ, მალე გავსდევნეთ ჩვენის გულიდან ეს ფიქრები და ერთხმად დავიძახეთ ყველამ: ეს შეუძლებელია! მართალია, ეს რამდენიმე წელიწადია დავსნეულდით, მაგრამ დავსნეულდით ხორცით და არა სულით: სული ჩვენი ისევ სპეტაკი არს, გული ჩვენი ყოველთვის ხთქმიდეს სიმართლისათვის, ყოველთვის სცემს კარგისადმი, ჩვენ ვეტრფით ჩვენს კეთილს მოძღვრებს, ვეთაყვანებით მათს ნიჭს და შეგვიშლიან მისი დაფასება. აქ პარტიობა რა შუაშია და რა ხელი აქვს; „იგი სხვაა, სიძვა სხვაა!!...“ ჩვენ რომ დავსნეულდით ეს რამდენიმე წელიწადია, ეს ცხადია და დაფარული აღარ არს; ისე გავავრცელეთ ურთი ერთ-შორს ეს სენი, რომ ვერა ბაცილა ასე სწრაფათ ვერ იმოქმედებდა: თვით ჩვენ გავხდით ერთმანერთის ბაცილებიც და მიკრობებიც. ნუ თუ ასე უნდა მივანებოთ ამ სენს თავი, ჩვენდა საზარალოთ? ყოველსავე სენს კარგი მომვლელი და მკურნალი უნდა და, თუ გვინდა სენი სამუდამოთ განიკურნოს, მკურნალიც შორს აღარ არს. მკურნალი უნდა იყოს ეგრეთ წოდებული „ილიას აუზი“. ამ აუზში, როგორც ზევით მოგახსენეთ, ყველამ ერთნაირად უნდა მივზიდოთ, ზოგმა კოკებით, ზოგმა ხელადებით, ზოგმა სურებით და უკვდავების წყაროთი ავავსოთ ეს აუზი. ამ აუზს უნდა მივცეთ მილები და იქაც-კი სარწყავი გავხადოთ, სადაც თავის დღეში წყალი არ მიჰკარებია, მოვთოხნოთ ის მინდვრები, სადაც მავნე ბალახი ხელს უშლის სურნელოვან ყვავილების ამოსვლასა მოვასპეტაკოთ ნიადაგი და ახალი ხანა დავიწყოთ ცხვრებისა და ურთიერთ შორის სიმშვიდისა. ამ აუზის წყალმა უნდა განკურნოს ქირის-ქირი, ამ აუზის წყლით გადავიბანოთ გესლი და შხამი და ეს წყალი უნდა იყოს ყოველისავე სნეულების წამალი, თუ გვინდა, რომ ამაზე მეტად არ დავქვეითდეთ ჩვენისავე მოქმედებით; გვებრალებოდეს ჩვენი ახალი თაობა, რომელიც სხვა-და-სხვა კუთხეებში არიან გაფანტული უმაღლესის სწავლის მისაღებათ, მრავალის კეთილ-მისწრაფებით სავსენი: აგერ, დავბრუნდებით და რაიმე სამსახურს გაუწევთ ჩვენ ქვეყანას, ძსობასა და ერთობას შევქმნითო. ბრუნდებიან საწყლები, ნიადაგი ოკრო-ბოკრო ხვდებათ და სურვილს ველარ ახორციელებენ. ხალისი ეკარგებათ და გული ეჩაგრებათ.

და, თუ მართლა ეს ასე არ მოხდა, და აქაც პარტიობა შეგვამჩნიეს, მაშინ, სწორედ, დიდებულის პოეტისა არ იყოს, საქართველო-კი არ იქნება, ფურთხის ღირსი, არამედ მასში აღზრდილნი შვილები ვიქნებით.

ქართველი დედა.

წვრილი ამბავი

ბავშვების ქადაგება იტალიაში. მეტად საინტერესოა შობის დღეებში რომის ძველთა-ძველს ეკკლესიაში ბავშვების ქადაგება. პატარა ქალები და ბიჭები მთელი კვირის განმავლობაში ქადაგებას ამბობენ შეკრებილ აუარებელი საზოგადოების წინაშე. ამ ეკკლესიაში კერძოთ მათთვის არის გაკეთებული პატარა კათედრა, რომელზედაც საქადაგებლად ადიან 9—12 წლის ბავშვები. აგერ, ავიდა კათედრაზედ პატარა ბავშვი, კარგად, მოხდენილად, ხელების ქნევით, გრძნობიერად იწყებს მოყოლას ქრისტეს დაბადებაზედ. შემდეგი ბავშვი უფრო გრძნობიერად და ხელოვნურად ამბობს. თუ ქადაგებაში შეჰხვდა სიტყვა: თავი იგი თავისს თავზედ უჩვენებს, თუ თვალი ახსენა, თვალზედ იდებს ხელს და სხვა. თუ არფის დაკვრაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, მაშინვე ხელებს ისე ხელოვნურად აათამაშებს, თითქოს ეს არის მართლა არფაზედ უკრავსო.

ბიჭების შემდეგ გამოდიან პატარა ქალები, მშვენივრად მორთულნი შლიაპებით და ფარჩეული ტან-საცმლით. მქადაგებელი ქალიშვილები უფრო ბევრნი არიან, ვინემ ვაჟები. პატარა მქადაგებლები ჯერ პირჯვარს იწერენ და მერე ისე იწყებენ ქადაგებას. ყველანი ადამის შეცოდებაზედ ამბობენ, იესო ქრისტეს დაბადებაზედ და ჯვარ-ცმაზედ. იქნება მკითხველს ეგონოს, რომ ამ ბავშვების ქადაგება ეგზამენებზედ გამოცდას ეგვანებაო. სრულიადაც არა: ბავშვები ქადაგებებს მკაფიოდ ამბობენ, სრულიად უშიშრად და დაურცხვენლივ; ბევრს თავიც მოსწონს, რომ ამოდენა საზოგადოების წინაშე ჰქადაგობს, თან უფრო ხმას უმატებს და ხელებს იმტვრევს. ზოგჯერ ისეთი მაგალითებიც მოხდება ხოლმე, რომ კათედრაზედ ასვლის დროს ბავშვი უარს ეუბნება მშობლებს, რომ არ შეუძლიან და სახლში წაიყვანონ. ბავშვების მშობლები დიდათ სცდილობენ, რომ მათმა შვილებმა კარგადა სთქვან ქადაგება, რისთვისაც წინდა-წინ მღვდელს იწვევენ და მას ასმენინებენ,—კარგად იცის თუ არა ბავშვმაო. ქადაგების ბოლოს მქადაგებელი შემდეგის სიტყვებით ჩამოდის: „მოვედით ყოველნი და თაყვანი ვსცეთ წმიდას ბამბინოს“. ამ დროს ხალხი მადლობის ნიშნად ტაშს უკრავს ბავშვს და ისიც მუხლს იყრის ბამბინოს წინაშე ე. ი. ყრმა იესო ქრისტესა. ერთმა ქალიშვილმა კათედრიდამ გადმოსვლის დროს შემდეგის სიტყვებით მიჰმართა ყრმა ქრისტეს: „საყვარელო ბამბინელო, აღახვენ მშვენიერნი თვალნი შენნი, შემოგვხედე ცოდვილთა და გამოგვიგზავნე მოწყალება შენი“.

—

ჯარის წინამძღოლი ქალი. საბერძნეთს სახმარებელ თავისუფალ შესულ 3,000 მხედართ, თურმე, ერთი ახალგაზდა ქალი წინამძღვრობთ. ეს ახალგაზდა ქალი გვარად ელენა კონსტანტინიდისია, სულ ჩვიდმეტის წლისა, მშვენიერის სილამაზისა და შეხედულობისა. ტანზე კაცის ტანთსაცმელი აცვია და ტყვია-წამლის აბგა ჰკიდია. შავს სამხედრო ქუდზედ კაკარდა აკვრია. თოფის სროლა და იარაღის ხმარება კარგადა სცოდნია, რაც ბათომში ყოფნის დროს შეუსწავლია ერთის რუსის აფიცრისაგან. მისი მამა, თურმე, ერთს დროს ტფილისში კბილის ექიმად იყო. იგი თამამად მიუძღვის ჯარს წინ და თან საბერძნეთის დროშას მიაფრიალებს. ათინაში დიდის ალტაცებით მიეგება ერი და „ჟანნა-დარკი“ უწოდა ამ გამოჩენილს გმირ-ქალს.

საღამოს დეპეშა

3 მაისი

რიგა. 1 მაისს, საღამოთი, იურევის რკინის გზაზედ სადგურებ ბოკენფოსა და ელვას შორის ლიანდაგს გადასცდა მატარებელი, რომელსაც ჯარი მიჰყავდა. 16 ვაგონი დაიმტვრა. მოკლულ იქმნა 100-მდე ჯარის კაცი და ორი აფიცერი, 60 ჯარის კაცი დაშავდა. დღეს წავიდნენ იმ ადგილისაკენ, სადაც უბედურება მოხდა, პროკურორი, თანაშემწე პროკურორისა და საგანგებო საქმეთა გამომძიებელი.

ათინა. ვენეციიდგან იუწყებიან, რომ გაწვრთნილი ჯარი და ეპირის ფალანგა გადმოვიდნენ ნაპირას ლურსის გაღმა, იმ ადგილას, სადაც ეს მდინარე ზღვას ერთვის, ამ დროს ჯარს ნიკოპოლისიდგან ზარბაზნებს ესროდნენ; ამავე დროს აღმოსავლეთის ესკადრა იერიშით მივიდა პრევეზაზე.

არტიდგან იწერებიან, რომ ბლირაკტარისი იმარეტთან ტერს შეება. ბერძენთა მხრივ დაჭრილია 1 მაიორი, 4 ობერ ოფიცერი და 27 ჯარის კაცი. ოსმალები უკან იწევენ, ჯარის პაწია გუნდის გარდა, რომელსაც ბერძნები ახვევიან გარს. გალფანოპულოს ბრიგადა წავიდა ხალეკიადესისაკენ და დიპყრა იგი.

კონსტანტინეპოლი. როდესაც ელჩებმა წინადადება მისცეს პორტას, შუამდგომლობის შემწეობით დავაბოლოოთ საქმეო, მან უპასცხა, რომ სულთანი ამ საგნის განხილვას მხოლოდ ბაირამის დღესასწაულის შემდეგ შეიძლებსო.

ათინა. გამოცხადებულია, რომ ნავთ-სადგურს ფოლოს ალყა შემოარტყასო, პრევეზის დაპყრობის ხმა არ გამართლდა, ხოლო ეპირში-კი, როგორცა სჩანს, სამხედრო საქმეს მხნედ შესდგომიან. როგორც დომოკოსიდგან მოსული ამბები გვამცნევს, ოსმალეთის ჯარი ისეთს მოძრაობაშია მოყვანილი, რომ, ყველას აფიქრებინებს, ჩქარა მიიტანენ იერიშსაო.

ლონდონი. „Times“-ს აუწყებენ დეპეშით დომოკოსიდგან, რომ აქ მოვიდა 3,000 კაციო. ერთის მხრივ ხმა დადის, რომ დიდი ბრძოლაა მოსალოდნელიო; მეორეს მხრივ,—რომ დროებით ზავია დადებულიო. თუმცა ბერძნებს საკმაოდ მაგარი და ძლიერი საომარი ადგილები უჭირავთ, მაინც ყოველსავე ბოლო მოეღება, თუ ოსმალებმა მოახერხეს და ამ ბერძნებს მეორე მხრიდგან მოუარესო.

„Morniug Post“-ის ცნობებით, ადვილად შესაძლებელია, რომ დომოკოსი დასცალონ ბერძნებმაო.

პარიზი. აქ იმ აზრისანი არიან, რომ ოსმალეთი 78 მილლ. ომების ომების საზღვაურს მოსთხოვს საბერძნეთსაო. დიდნი სახელმწიფონი არ-არავითარს შემთხვევაში არ დააკისრებენ საბერძნეთს, რომ თავისი ფლოტი მისცეს ამ საზღვაურის გადასახდელად, ხოლო თუ საბერძნეთი მოისურვებს ამ საზღაურის ფულად გარდახდას, დიდნი სახელმწიფონი გასინჯავენ,—რა გზით და რა ღონით გაუსწორდება საბერძნეთი წინანდელს მევალეებს. როგორც, სჩანს, მართლდება ის ხმა, რომ ოსმალეთს მაშინ უნდა დაეწყო მოლაპარაკება, როდესაც დაიპყრობს დომოკოსას, რომელსაც ბერძნები უკვე თავს ანებებენ.

ათინა. არტიდგან მიღებული მოკლე დეპეშა იუწყება, რომ 2 მაისს დილ[illegible]ვან [illegible]იბოვთან, ფილიპპიადეს გზაზედ, სისხლის—მღვრელი ბრძოლაა ატეხილი. ორ ვ მებრძოლთ ბევრი ჰყავთ დახოცილი. ბრძოლა ჯერ არ შეწყვეტილა. დაწვრილებითი ამბავი ჯერ არ არის მოსული.

კონსტანტინეპოლი. პორტას ცნობა მოუვიდა, რომ ბერძნების გემები გამოჩნდა არხიპელაგის სხვა-და-სხვა კუნძულებთანაო. ამის გამო დარდანელში მყოფ ესკადრას უფროსს ბრძანება მიეცა, დევნა დაუწყეთ ამ გემებსაო. ეხლა ამ ესკადრის უფროსისაგან დეპეშა მოსულა და იგი აცნობებს მთავრობას, რომ დაბრუნებულმა გემებმა თან მოიყოლიეს 11 იალქნიანი გემები, რომელნიც მომზადებულნი ყოფილან ჯარების გადასასხმელად.

კონსტანტინეპოლი. გარეშე საქმეთა მინისტრმა შეჰპირდა ელჩთა უხუცესთაგანს, რომ პორტა პასუხს გასცემს ნოტასაო, და აცნობა, რომ დომოკოსი, ბერძენია ზოგიერთ ბატალიონების სუსტის წინააღმდეგობის შემდეგ, ოსმალებმა დაიპყრესო. საბერძნეთის ჯარმა უკან დაიწიაო.

დღეს, ნაშუადღევს, ელჩთა ბჭობა ჰქონდათ. ტყუილია ის ამბავი, ვითომ ელჩებს უკვე მოლაპარაკება აქვთ დაწყებული პორტასთან ზავის ჩამოგდების შესახებაო. ელჩნი თხოულობენ, რომ სამხედრო მოქმედებასა და ბრძოლას თავი დავანებეთო. პორტას პასუხს დროებითის ზავის დადების შესახებ ყოველს საათს მოელიან და ამის შემდეგ შეუდგებიან შუამავლობის საქმეს.

ვაჭრების საყურადღებოდ.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს დარბაზში, 5 აგვისტოს 1897 წ. დილით ათ საათზე, გაიმართება საჯარო ვაჭრობა თ. ეგატერინე სიმონის ასულის ერისთვის მამულის გასასყიდად; მამული მდებარეობს ოზურგეთის მაზრაში სოფ. ჩახატაურში და შესდგება 2 დესეტ. 1800 ოთხ-კუთხ. საჟენი ვენახისაგან და ორ-სართულიან სახლისაგან. მამული დაგირავებულია ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკში,

—

ტფილისის მეორე განყოფილების სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 3 მაისს, დილით ათ საათზე, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება ნიკოლოზ იაგორის ძის დიდაროვის მოძრავი ქონება: ოქრო-ვერცხლის ნივთები და სხვა სათვალსაჩინო სამკაული, ქონება დაფასებული სულ 195 მან. 95 კაპ.; ვაჭრობა გაიმართება თვით დიდაროვის სახლებში, პატარა-ტალახის ქუჩაზე № 25, ქალაქის მე 5 განყოფილებაში.

—

გორის მაზრის სამხედრო უფროსი აცხადებს, რომ 12 მაისს, ნაშ ნაშუადღევის 2 საათზე, მახეილის სოფლის სასამართლოში გამართულ იქნება საჯარო ვაჭრობა ჯარის კაცთათვის საჭირო შურისა, ხორცისა და სხვა სანოვაგეს იჯარით გაცემისა; დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეიძლება ყოველ დღე გორის მაზრის სამხედრო უფროსის სამმართველოში.

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

საფოსტო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი წრაფის რესისის გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეილის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-სამგზავრო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივი გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რესის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-სამგზავრო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუაღამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

განცხადებანი

წლიური კრება განმეორებითი. ქ. ტფილისის სასწავლებელთა ღარიბ შეგირდების „დამხმარებელ საზოგადოების“ წევრთა წლიური საერო კრება დანიშნულია კვირას, 4 მაისს, დილით $10^1/_2$ საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს წასულის 1896 ანგარიში „საზოგადოებისა“.

(3—3)



განსაკუთრებულ
საათების
სახელოსნო
ბეგლიარ
ავაკიანცისა

სათავად-აზნაურო ქარვასლა.

ვღებულობ ყოველგვარ საათებს შესაკეთებლად. ფასი ყველაფერზე ზომიერია. ყოველ შეკვეთას ვასრულებ წმინდად და სინიდისიერად.

ბეგლარ ავაკიანცი.

იქვე გამართულია
საოქრომჭედლო სახელოსნო
ნიკოლოზ იმედოვისა

სახელოსნო ასრულებს ყოველ გვარ საქმეს ოქრო-მჭედლურ ხელობისას სუფთად, მკვიდრად, შნოიანად, სწრაფად და იაფად!

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3-го Мая 1897 г.
სტამბა მ. შარაძის და ამხ. ნიკ. ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.